ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3925031

ნომერი: AR1590937

თარიღი : 04.04.2018

გაცემის თარიღი : 23.04.2018

გაცნობის თარიღი : 23.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოგწეროთ შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ:

- მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს ინფორმაცია ფასადზე არსებული საჩრდილობლის თაობაზე (ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება მისი დემონტაჟი);
- აიტვირთოს სარეკონსტრუქციო ფართის ესკიზური ნახაზები როგორც არსებული ასევე საპროექტო (გეგმა, ჭრილი ნიშნულების და გაბარიტების დატანით);
- აიტვირთოს საკადასტრო გეგმა სარეკოსნტრუქციო ადგილის დატანით მათ შორის ბაქნის და კიბის ასახვით. საკადასტრო გეგმაზე უნდა მოინიშნოს N2 ფოტომონტაჟზე ასახული სამუშაოები (თუ შენობის სვივრცეში ხდება სამუშაოები - სარეკლამო აბრის და კონდიციონერის განთავსება - აღნიშნული სამსახურის თანხმობას არ საჭიროებს).
- აიტვირთოს ესკიზური გენგეგმა არსებული სიტუაციის და საპროექტო სიატუაციის ასახვით (რომელზეც უნდა იქნას გაბარიტული ზომები დატანით გამოხაზული ბაქანი და კიბე)გაითვალიწინეთ: საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოსადგენი იყოს მესაკუთრეების თანხმობები - კიბის გაბარიტების ცვლილებაზე და აგრეგატების გრუნტზე განთავსებაზე.;
- არსებული სიტუაციის ფოტოს მიხედვით ფასადზე განთავსებულია საჰაერო ღიობი და ასევე მილები, რომელიც რეკონსტრუქციის შედეგად აღარ ფიქსირდება ფოტომონტაჟზე, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის თანხმობა, ან ფოტომონტაჟზე აღნიშნული საჰაერო ღიობი და მილები აისახოს არსებული მდგომარეობით.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.